



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაგინი

ბაგინი, არაქრისტიანული სალოცავი, ტაძარი ან საკერპო ძველად.

„ქართლის მოქცევაში“ ბ. ებრაელთა სალოცავის, სინაგოგის მნიშვნელობით იხმარება.

ქართლში ახლად მოსული წმ. ნინო ურბნისისა და მცხეთის ბ-ებში შედიოდა „ენისათვის ებრაულისა“. „ქართლის მოქცევის“ მიხედვით, მცხეთაში ორი ბ. იყო: ერთი, როგორც ჩანს, საკრებულო ბ., სადაც აბიათარი მღვდლობდა ნინოს მოღვაწეობის ხანაში, და მეორე ბ., ანუ მცირე ბ., რ-საც სხვანაირად სამარხვო ეწოდებოდა, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ეს შენობა გენიზად (ანუ ხმარებიდან გამოსული წმიდა წიგნებისა და ნივთების შესანახად) იყო გამიზნული. ამ ბ-ის როგორც არქიტ. ტიპს, ისე ადგილმდებარეობას გვამცნობს ტექსტი: მას ჰქონდა სტოა მსგავსად ელინისტური ხანის სინაგოგებისა; მდებარეობდა იგი „კარსა მოგუეთისასა, მტკუარსა ზედა“, ქალაქის დას. ნაწილში. როგორც ჩანს, ბ. წარმოადგენდა ნინოს საქადაგებელ ადგილს, რამდენადაც მისი პირველი მრევლი ებრაელები იყვნენ. საბოლოოდ, ბ-ზე ჯვრის აღმართვით მოხდა მისი ქრისტიანულად კონსეკრაცია და ეწოდა „მთავართა სანათლოდ“ (ანუ ბაპტისტერიუმი), რადგან აქ მცხეთელ მთავართა შვილები ინათლებოდნენ. ასევე ქრისტ. ეკლესიად იკურთხა საკრებულო ბ-ც, სადაც ქრისტეს რჯულს ქადაგებდა აბიათარი, ჰურიაცილი. როგორც „მოქცევიდან“ ჩანს, ეს ბ. გაქრისტიანებულ ებრაელთა საკრებულო იყო, სადაც ელიოზის შთამომავალნი ასრულებდნენ ღვთისმსახურებას. აღსანიშნავია, რომ ბ-ების ქრისტ. ტაძრებად გადაკეთების შემდეგ ძველი აღთქმის რჯულზე დარჩენილმა ებრაელობამ დატოვა მცხეთა და გაიფანტა საქართვ. ტერიტორიაზე.

წყარო: მოქცევაძე ქართლისაძე, ნგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., ნგ. 1, თბ., 1963; შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილის და ე. გიუნაშვილის რედ., თბ., 1979.

8. კიკნაძე
